**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №36**

**ქ. თბილისი** **09 დეკემბერი 2022 წელი**

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა N10, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის **თია მელაძის** სახით და მეორეს მხრივ,

**მიმწოდებელი: შპს „ევრომასტერი“; საიდენტიფიკაციო კოდი: 412670499;**
**მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N 132; ტელ: 591 06-15-09; 568 60-03-09;**
**დირექტორი: პაატა რუსაძე;**
**საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE60TB7930236020100005;**

შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

**2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: **შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ობიექტზე (საქართველოს მასშტაბით) არსებული საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა-გაშვების, ასანიზაციის და საკანალიზაციო/არტეზიული/სანიაღვრე ჭის ამოტუმბვის მომსახურების შესყიდვა.** ინფორმაცია გასაწევი მომსახურების დასახელების, რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესახებ მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ მომსახურების პრეისკურანტში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი N1 – 1 (ერთი) ფურცელი).

2.2 შესყიდვის საშუალება: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT220024040.**

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **100 000** (ასი ათასი) ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. პრეისკურანტის (დანართი №1) ღირებულება შეადგენს **2 027** (ორი ათას ოცდაშვიდი) ლარს.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: CPV90480000 - საკანალიზაციო სისტემის მართვა.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია 2022 წლის 09 დეკემბრიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

**3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი**

3.1. მომსახურების გაწევის ვადა: **2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) საათისა, კვირის ნებისმიერ დღეს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.**

**3.2.** მომსახურების გაწევის ადგილი: **შსს სხვადასხვა ობიექტებზე საქართველოს მასშტაბით - შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.**

**3.3. მომსახურების გაწევის პირობები:**

3.3.1. ასანიზაციის სატუმბი სპეციალიზირებული მანქანით მომსახურეობა გულისხმობს: მანქანის გასაჩერებელი მოედნიდან არანაკლებ 8 მეტრით დაშორებული და არანაკლებ 6 მეტრი სიღრმის საკანალიზაციო ჭიდან ნარჩენების სრული რაოდენობის ამოტუმბვას და ტერიტორიიდან გატანას.

3.3.2. საკანალიზაციო ქსელის წყლის ჭავლით გარეცხვა გულისხმობს: მაგისტრალური ჰორიზონტალური საკანალიზაციო მილების გაწმენდას სპეციალური მანქანის გამოყენებით, მაღალი წნევის წყლის ჭავლის საშუალებით (არანაკლებ 650 ლ/წთ), ერთჯერადად არანაკლებ 50 მეტრი სიგრძის გაწმენდის შესაძლებლობით.

3.3.3. საკანალიზაციო ჭის მექანიკური ამოწმენდა გულისხმობს: შემკრებ და გამანაწილებელ საკანალიზაციო ჭაში დალექილი მკვრივი ნივთიერებების სრულ ამოწმენდას - სპეციალური შესაძლებლობების მქონე მანქანით (გარემო პირობებიდან გამომდინარე მანქანის სატუმბი შლანგის სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 25 მ, სიმძლავრე არანაკლებ 3000 ლ/წთ) ან სხვა მექანიკური საშუალებებით.

3.3.4. საკანალიზაციო ქსელის ვიდეო თვალით დათვალიერება გულისხმობს: საკანალიზაციო ქსელის ვიდეო თვალით დათვალიერებას, მათ შორის თვითმავალი რობოტის გამოყენებით, რათა განისაზღვროს ქსელის დიამეტრი; დაზიანების მონაკვეთები და მანძილიდან გამომდინარე ქსელის პროცენტული დახრილობა - რის შესახებაც უნდა შედგეს ინსპექტირების დიაგნოსტიკური დოკუმენტი (მათ შორის CD დისკი);

3.3.5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მსვლელობის დროს გაითვალისწინოს და დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.

3.3.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას შემსყიდველის ქონებაზე მიყენებული ზიანი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

3.3.7. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში (თუ მომსახურება არ არის გაწეული სრულყოფილად) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოსწორება (გაწიოს საჭირო მომსახურება არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3.8. ინფორმაცია **24 საათის** განმავლობაში ჩართული ორი მობილური სატელეფონო ნომრის და ელ-ფოსტის მისამართის შესახებ: **გიორგი კურტანიძე; 591 06-15-09; თამარი ბიბილეიშვილი; 568 60-03-09;** ელ. ფოსტა: **sales1@euromaster.ge; finance@euromaster.ge.**

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

## 4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს **1 (ერთი)** კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტით ან/და ტელეფონით.

4.3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების კონტროლს ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებით გაწეული მომსახურების ხელახალი შესრულება.

5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის ექსპლუატაციის სამმართველოს ზედამხედველობისა და ექსპლუატაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლოლა არსოშვილი.**

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ **შსს ობიექტების მიხედვით შესაბამისი ულებამოსილი პირ(ებ)ი.**

6.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.4. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

## 7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით,** ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით. მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) შსს შესაბამისი სამსახურის მიერ ეკონომიკურ დეპარტამენტში წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
## (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.15%-ის** ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
8.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის **0.15%-ის** ოდენობით.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას .
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, საჯარო სამართლის კორპორაცია „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებით, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

12.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვ.)

## 13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

13.2 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: **გიორგი კურტანიძე;** ტელეფონის ნომერი: **591 06-15-09; 568 60-03-09**; ელექტრონული ფოსტა: **info@turanmak.ge;**

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: **ლოლა არსოშვილი;** ტელეფონის ნომერი: **595 889 648;** ელექტორნული ფოსტა: **l.arsoshvili@mia.gov.ge;**

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## 15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.
16.6. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ან შემსყიდველისთვის გადაცემული პერსონალური ინფორმაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლებელია დამუშავდეს სახელმწიფო შესყიდვის მიზნებისთვის.

**მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები**

LTD EUROMASTER

Digitally signed by LTD EUROMASTER
Date: 2022.12.09 13:52:43 +04'00'

დანართი N1

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ობიექტზე (საქართველოს მასშტაბით) არსებული საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა-გაშვების, ასანიზაციის და საკანალიზაციო/არტეზიული/სანიაღვრე ჭის ამოტუმბვის მომსახურება**

**პრეტენდენტის დასახელება:** შპს ევრომასტერი

| N | **გასაწევი მომსახურების დასახელება** | **გაწზომილ ება** | **მომსახურების ზღვრული ერთეულის ფასი (ლარი)** | **პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული მომსახურების ერთეულის ფასი (ლარი)** | **მომსახურების გაწევის ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკანალიზაციო ცენტრალური დგარის გაწმენდა-გაშვება | ცალი | 100 | 100.00 | ქ. თბილისსა და ახლომდებარე რაიონებში, არაუმეტეს 40კმ რადიუსში - შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | საკანალიზაციო ჰორიზონტალური მილის გაწმენდა-გაშვება (მომსახურება გულისხმობს მასთან არსებული ჭის გაწმენდასაც) | ცალი | 180 | 180.00 | |
| 3 | ე. წ. თურქული ნიჟარის  გაწმენდა-გაშვება | ცალი | 60 | 60.00 | |
| 4 | უნიტაზის გაწმენდა-გაშვება | ცალი | 80 | 80.00 | |
| 5 | საკანალიზაციო ტრაპის გაწმენდა-გაშვება | ცალი | 80 | 80.00 | |
| 6 | ასენიზაციის სატუმბი სპეციალიზირებული მანქანით მომსახურება - საჭიროების შემთხვევაში მომსახურეობა გულისხმობს მყარი დალექილი მასის ამორევას გაფხვიერებას და ამოღებას | კუბ.მ | 115 | 115.00 | |
| 7 | საკანალიზაციო ჭის მექანიკური ამოწმენდა | ცალი | 280 | 280.00 | |
| 8 | საკანალიზაციო ქსელის კამერით დათვალიერება | მეტრი | 20 | 20.00 | |
| 9 | საკანალიზაციო მილის გაწმენდა სპირალით | მეტრი | 20 | 20.00 | |
| 10 | სპეციალიზირებული მანქანით საკანალიზაციო ქსელის წყლის ჭავლით გაწმენდა - გარეცხვა (მეტრი) (მომსახურება გულისხმობს მასთან არსებული ჭის გაწმენდასაც) | მეტრი | 25 | 25.00 | |
| **ჯამი:** | | | **960.00** | **960.00** | |

| N | **გასაწევი მომსახურების დასახელება** | **გაწზომილ ება** | **მომსახურების ზღვრული ერთეულის ფასი (ლარი)** | **პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული მომსახურების ერთეულის ფასი (ლარი)** | **მომსახურების გაწევის ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკანალიზაციო ცენტრალური დგარის გაწმენდა-გაშვება | ცალი | 100 | 100.00 | შს სხვადასხვა ობიექტებზე საქართველოს მასშტაბით (გარდა ქ. თბილისისა და ახლომდებარე რაიონები, არაუმეტეს 40კმ რადიუსისა) - შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | საკანალიზაციო ჰორიზონტალური მილის გაწმენდა-გაშვება (მომსახურება გულისხმობს მასთან არსებული ჭის გაწმენდასაც) | ცალი | 180 | 180.00 | |
| 3 | ე. წ. თურქული ნიჟარის  გაწმენდა-გაშვება | ცალი | 60 | 60.00 | |
| 4 | უნიტაზის გაწმენდა-გაშვება | ცალი | 80 | 80.00 | |
| 5 | საკანალიზაციო ტრაპის გაწმენდა-გაშვება | ცალი | 80 | 80.00 | |
| 6 | ასენიზაციის სატუმბი სპეციალიზირებული მანქანით მომსახურება - საჭიროების შემთხვევაში მომსახურეობა გულისხმობს მყარი დალექილი მასის ამორევას გაფხვიერებას და ამოღებას | კუბ.მ | 150 | 150.00 | |
| 7 | საკანალიზაციო ჭის მექანიკური ამოწმენდა | ცალი | 300 | 300.00 | |
| 8 | საკანალიზაციო ქსელის კამერით დათვალიერება | მეტრი | 25 | 25.00 | |
| 9 | საკანალიზაციო მილის გაწმენდა სპირალით | მეტრი | 40 | 40.00 | |
| 10 | სპეციალიზირებული მანქანით საკანალიზაციო ქსელის წყლის ჭავლით გაწმენდა - გარეცხვა (მეტრი) (მომსახურება გულისხმობს მასთან არსებული ჭის გაწმენდასაც) | მეტრი | 52 | 52.00 | |
| **ჯამი:** | | | **1,067.00** | **1,067.00** | |
| **სულ ჯამი:** | | | **2,027.00** | **2,027.00** | |

პრეტენდენტის ხელმოწერა

**ინფორმაცია საკონტაქტო პირებზე:**
1) გიორგი კურტანიძე - 591061509
2) თამარი ბიბილეიშვილი - 568600309,
email: sales1@euromaster.ge ; finance@euromaster.ge

LTD EUROMASTER

Digitally signed by LTD EUROMASTER
Date: 2022.11.30 17:09:17 +04'00'